ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

ჩოხატაური წერეთლის ქ. №2

☎ 790 20-33-05
577 47-43-34

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №30

31 იანვარი 2013 წ.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობის ვარგისად აღიარების (ექსპლუატაციაში მიღების) კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N57 დადგენილების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობის ვარგისად აღიარების (ექსპლუატაციაში მიღების) მიზნით შეიქმნას მუდმივმოქმედი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

- გია გიორგაძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის უფროსის დროებით მოვალეობის შემსრულებელი - კომისიის თავმჯდომარე;
- ტარიელ ბერაძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის ზედამხედველობის სამსახურის სპეციალისტი მშენებლობის საკითხებში - კომისიის მდივანი;
- გოგი ბოლქვაძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის სპეციალისტი ურბანული დაგეგმარებისა და სივრცითი მოწყობის საკითხებში - წევრი;
- ნინო სიხარულიძე - მუნიციპალიტეტის გამგეობის ეკონომიკის, ინფრასტრუქტურის და საინვესტიციო გარემოს განვითარების სამსახურის სპეციალისტი მშენებლობის საკითხებში - წევრი;
- გიორგი სიმონია - მუნიციპალიტეტის გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის სპეციალისტი ქონების საკითხებში - წევრი.

2. კომისიის მუშაობაში მონაწილეობა მიიღოს დამკვეთმა, შესაბამისი დარგის სპეციალისტემბა და ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულებმა.

3. დაევალოს კომისიას განხორციელებული, დასრულებული მშენებლობის სანებართვო პირობებთან შესაბამისობის საბოლოო დადგენის მიზნით, შეადგინოს ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების აქტი.

4. კომისია მუნიციპალიტეტის გამგებელს წარუდგენს შენობა-ნაგებობის ვარგისად აღიარების ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ აქტს.

5. მუნიციპალიტეტის გამგებელი ამ ბრძანების მე-4 პუნქტით გათვალისწინებულ დოკუმენტს და შესაბამის ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტის პროექტს წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარეს.

6. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2011 წლის 15 მარტის ბრძანება N45 ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე შენობა-ნაგებობის ვარგისად აღიარების (ექსპლუატაციაში მიღების) კომისიის შექმნის შესახებ“.

7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ანტონ ხუნდაძე

ვიზირებულია,

იურისტი *ედიშერ ჯიბუტი*